ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 80

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2016 წლის 11 ოქტომბერს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ირინე მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდმეწარმე ელისო გოგოლიძის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ეხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" სახსრებით, საბავშვო ბაღის განყოფილებებისათვის შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან პირადი ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა (CPV33700000-3303.00 კოდით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. "საქონელი"

2.1 „საქონლის" მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 „საქონელის" ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 „საქონელის" საერთო ღირებულება მიმწოდებლის ხარჯების გათვალისწინებით განისაზღვრება 3303,00 (სამიათასსამასსამი) ლარის ოდენობით.

4. „საქონელის" მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „საქონელის" მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად. 2016 წლის 31 დეკემბრამდე.
4.2 „საქონელის" მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

5. „საქონელის" მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „საქონელის" მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 „საქონელის" ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

შემსყიდველი ____________ მიმწოდებელი ____________

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული „საქონელის" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

შემსყიდველი ____________ მიმწოდებელი ____________

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი"
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3
სახელმწიფო ხაზინა
ერთიანი ანგარიში
საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

ი. მაისურაძე

მიმწოდებელი:

ინდმეწარმე: ელისო გოგოლიძე

მისამართი: საჩხერე, კოსტავას ქ.#33
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს საქართველოს
„ლიბერთი ბანკი" საჩხერის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი:GE48LB0112198206139000
საიდენტიფიკაციო ნომერი: 38001036933

ინდმეწარმე:

ე. გოგოლიძე

დანართი #1

ჩამონათვალი ერთეულის ფასების მიხედვით

| # | დასახელება | კოდი | განზომილება | რაოდენობა ცალი | ერთეულის ფასი | საერთო თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტუალეტის ქაღალდი | 33761000 | ცალი | 2300 | 0.60 | 1380.00 |
| 2 | ქაღალდის პირსახოცი | 33764000 | ცალი | 750 | 1.50 | 1125.00 |
| 3 | თხევადი საპონი | 33711900 | ცალი | 500 | 1.50 | 750.00 |
| 4 | სარეცხი საპონი | 33711900 | ცალი | 80 | 0.60 | 48.00 |
| | ჯამი: | | | | | **3303.00** |

ა.ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის "
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ი. მაისურაძე

ინდმეწარმე: ე. გოგოლიძე